მოთხოვნა ინტერესის გამოხატვაზე
საკონსულტაციო მომსახურება
დამოუკიდებელი ვერიფიკაციის აგენტი (IVA)

ქვეყანა: საქართველო
პროექტი: სუფთა და საიმედო წყალმომარაგებაზე თანასწორი ხელმისაწვდომობის პროგრამა (CLEAR Water Program) ADB-ის პროექტის №: 58470-001

შერჩევის მეთოდი: საკონსულტაციო კომპანია შეირჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის (Consultant Qualifications Selection – CQS) მეთოდით, აზიის განვითარების ბანკის (ADB) წესებით.

მაქსიმალური ბიუჯეტი: 2,000,000.00 ლარი (გადასახადების ჩათვლით)

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG), რომელიც წარმოადგენს აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული სუფთა, ადგილობრივი, სამართლიანი ხელმისაწვდომობა საიმედო წყალმომარაგებაზე (CLEAR Water Program) პროგრამის განმახორციელებელ ერთეულს, იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს, გამოხატონ ინტერესი და წარმოადგინონ განაცხადი (EOI) დამოუკიდებელი ვერიფიკაციის აგენტის (IVA) მომსახურებაზე.

პროგრამის მიზანია საქართველოს მიზნობრივ სოფლის დასახლებებში უსაფრთხო, საიმედო და მდგრადი წყალმომარაგების მომსახურების უზრუნველყოფა. მოსალოდნელია, რომ პროგრამის ფარგლებში მინიმუმ 100 სოფლის დასახლებაში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და რეაბილიტაციის შედეგად სარგებელს მიიღებს დაახლოებით 150,000 ადამიანი. ამასთანავე, პროგრამა ხელს შეუწყობს სოფლის წყალმომარაგების სექტორში ინსტიტუციური მოწყობის, მმართველობისა და მდგრადი ოპერირების გაძლიერებას.

პროგრამა ფინანსდება აზიის განვითარების ბანკის შედეგებზე დაფუძნებული დაკრედიტების (Results-Based Lending – RBL) მექანიზმით. სესხის თანხების გაცემა დამოკიდებულია წინასწარ შეთანხმებული გაცემასთან დაკავშირებული ინდიკატორების (Disbursement-Linked Indicators – DLIs) შესრულებაზე. დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანია შეირჩევა იმისათვის, რომ დაამოწმოს შესაბამისი DLI-ებისა და ქვეინდიკატორების შესრულება, დამტკიცებული DLI-ის ვერიფიკაციის პროტოკოლების შესაბამისად.

დაინტერესებულ კომპანიებს შეუძლიათ ინტერესის გამოხატვის განაცხადის (EOI) წარდგენა ADB-ის Consultant Management System-ის მეშვეობით შემდეგ ბმულზე:
https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=226862